იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების საყურადღებოდ!

განმარტებები აკადემიური რეგისტრაციების პროცესთან დაკავშირებით

ბაკალავრიატის სტუდენტთა საყურადღებოდ!

აკადემიური რეგისტრაცია იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყება 12 სექტემბერს 17:00 საათზე (პირველკურსელთა რეგისტრაციის გარდა. იხ. ქვემოთ). **ყველა საგანი გაიხსნება ერთდროულად.**

სავალდებულო და არჩევით საგნებზე ადგილების დამატება განხორციელდება ანბანური თანმიმდევრობით შემდეგი განრიგით :

12 სექტემბერს - 18:00 საათიდან - 18:45 საათამდე;
13 სექტემბერს - 15:00 საათიდან 15:30 საათამდე;
13 სექტემბერს - 18:00 საათიდან 18:30 საათამდე;
14 სექტემბერს - 18:00 საათიდან 18:30 საათამდე.

პირველკურსელთა აკადემიური რეგისტრაცია იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყება 14 სექტემბერს 17:00 საათზე. საზეიმო შეხვედრა პირველკურსელ სტუდენტებთან შედგება 18 სექტემბრის 11 საათზე.

გაცნობებთ, რომ **პირველკურსელთა ცხრილით გათვალისწინებული საგნების აღება სხვა სემესტრის სტუდენტებისათვის** შესაძლებელი იქნება მხოლოდ პირველკურსელთა რეგისტრაციის დროს (14 სექტემბრის 17:00 საათიდან).

გახსოვდეთ, რომ სასწავლო დისციპლინაზე რეგისტრაცია ბოლონიელ გლოსატორთა პრინციპით ხორციელდება **„ primo in tempore, potior in iure**“ (დროში პირველი, უფლებაში უპირატესი). სავალდებულო საგნებზე ადგილები დაემატება მოთხოვნის შესაბამისად. არც ერთი სტუდენტი არ დარჩება სავალდებულო საგანზე რეგისტრაციის გარეშე.

თუკი ვერ დარეგისტრირდით რომელიმე სავალდებულო ან არჩევით დისციპლინაზე, გთხოვთ, მოგვწეროთ sms.tsu.ge- დან. ამისათვის გრაფაში ,,წერილის სახე“ მიუთითეთ ,, აკადემიურ რეგისტრაციებთან დაკავშირებული პრობლემები“ და გრაფაში ,, აირჩიეთ საგანი “ მიუთითეთ სასურველი დისციპლინა.

აუცილებელია, რომ შეტყობინებაში სასურველი დისციპლინა მითითებული იყოს არა ტექსტური სახით, არამედ მონიშნული იყოს გრაფაში ,,აირჩიეთ საგანი‘‘, რადგან მონაცემთა დამუშავება ხდება ავტომატურად და ტექსტური ფორმით მოწერილი დისციპლინის გათვალისწინება ვერ მოხდება. ფაკულტეტის ადმინისტრაცია აკადემიურ რეგისტრაციებს შორის დროის მონაკვეთში დაამუშავებს აღნიშნულ მონაცემებს და შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინებს სტუდენტთა მოთხოვნას.

ამასთან გაცნობებთ, რომ **იურიდიული ფაკულტეტის საბჭომ, მიმდინარე წლის 4 სექტემბერს, დაამტკიცა სამართლის ახალი საბაკალავრო პროგრამა,** რომელიც ითვალისწინებს არჩევითი საგნების რაოდენობის შემცირებას და სავალდებულო საგნების ხვედრითი წილის გაზრდას. მოგეხსენებათ, რომ თქვენ იღებთ სამართლის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს და სასურველია არჩევითი დისციპლინებიც დააკომპლექტოთ ყველა მიმართულებიდან. სამართლის ახალი საბაკალავრო პროგრამით, აღნიშნული იქნება სავალდებულო მოთხოვნა. ამასთან, სამართლის ახალი საბაკალავრო პროგრამა მოქმედებს მხოლოდ 2017-18 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტებზე.

მიმდინარე სემესტრში ზოგიერთი დისციპლინა, რომელთა მიმართაც დასაზუსტებელი იყო გარკვეული საკითხები, არ იქნა შეთავაზებული ფაკულტეტის მიერ. ამასთან, ამ სემესტრში იურიდიული ფაკულტეტი საკუთარ სტუდენტებს სთავაზობს არაერთ ახალ დისციპლინასაც. საყურადღებოა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პირველად წაიკითხება ისეთი საგნები, როგორებიცაა: სამართლის სოციოლოგია, პროფესორი ლაშა ბრეგვაძე (3 ნაკადი), ტრანსნაციონალური სამართალი, პროფესორი ლაშა ბერგვაძე (2 ნაკადი, აღსანიშნავია, რომ ეს დისციპლინები იკითხება პირველად თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე და პირველად საქართველოში). კერძო სამართლის მიმართულებით ასევე შეთავაზებულია ახალი დისციპლინები: მიწის სამართალი - მოწვეული ლექტორი ვახტანგ ბოხაშვილი, სადაზღვევო დავების გადაწყვეტა - ასისტენტ პროფესორი ნატალია მოწონელიძე, წარმომადგენლობა მედიაციაში - ასისტენტ პროფესორი ნათია ჩიტაშვილი. საჯარო სამართლის მიმართულებით: რელიგია და სამათალი - ასისტენტ პროფესორი დიმიტრი გეგენავა (2 ნაკადად); კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა, რომელიც აქამდე შეთავაზებული იყო მხოლოდ კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით - ამ სემესტრში არის შეთავაზებული საჯარო სამართლის მიმართულებითაც, 2 ნაკადად - ასისტენტ პროფესორი დიმიტრი გეგენავა; სისხლის სამართლის მიმართულებით: დანაშაულის მოძღვრება ასისტენტ პროფესორი - ლავრენტი მაღლაკელიძე (4 ნაკადად); ნარკომანია, პიროვნული თავისუფლება, ავადმყოფობა თუ დანაშაული - ბესიკ თხელიძე; გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებები - ნათია მეზვრიშვილი.

ამის პარალელურად, **არჩევითი დისციპლინების უმეტესობა, რომელიც იყო შეთავაზებული წინა შემოდგომის სემესტრში, ასევე შენარჩუნებულ იქნა.** ამ ეტაპზე ფაკულტეტი თავის სტუდენტებს სთავაზობ 3 უცხოენოვან საგანს, რომელიც იკითხება მთელი სემესტრის მანძილზე უცხოელი პროფესორების მიერ და ორ დისციპლინას ინტენსიური კურსის ფორმატით (იხ. უცხოენოვანი საგნების ცხრილი).

იურიდიული ფაკულტეტი ტრადიციულად მოგმართავთ თხოვნით გადაამოწმოთ ბაზაში თქვენი საკონტაქტო ინფორმაციის (უპირატესად ტელეფონის ნომრის) სისწორე, რათა შეძლოთ ფაკულტეტისგან მოწოდებული ინფომაციის დროული მიღება.

სტუდენტებს, რომელთაც სურთ ხელმეორედ დარეგისტრირდნენ დისციპლინაზე **ქულის გაუმჯობესების მიზნით,** შეუძლიათ მოგვმართონ ამის თაობაზე sms.tsu.ge-დან მიმდინარე წლის **13 სექტემბრის** ჩათვლით. გთხოვთ, თქვენს ინდივიდუალურ ცხრილში დატოვოთ შესაბამისი ადგილი და განცხადებაში მიუთითოთ სასურველი პროფესორი. თქვენი განცხადებები დამუშავდება და **დისციპლინა ინდივიდუალურ ცხრილში აისახება არაუგვიანეს 18 სექტემბრისა.**

დამატებით სემესტრთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვმართოთ sms.tsu.ge-დან მიმდინარე წლის 12:00 სექტემბრამდე.

მობილობით გადმოსულ სტუდენტთა საყურადღებოდ!

საორიენტაციო შეხვედრა მობილობით გადმოსულ სტუდენტებთან შედგება 11 სექტემბერს 12:00 საათზე. ამასთან ერთად, გაცნობებთ, რომ დღეს არსებული ინფორმაციით მობილობის სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანება ვერ გამოიცემა 26-27 სექტემბრამდე (ხარისხის განვითარების ცენტრში სიების გადამოწმების მიზეზით). თანხის გადახდა და აკადემიური რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბრძანების გამოცემის შემდგომ. იურიდიული ფაკულტეტი დამატებით მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს მიერ ადინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის წესთან დაკავშირებით, რომელიც განთავსდება როგორც იურიდიული ფაკულტეტის ვებ. გვერდზე, ისე ამ ჯგუფში.

სასემინარო მეცადინეობის განრიგი იურიდიული ფაკულტეტის ვებ. გვერდზე განთავსდება მიმდინარე წლის 20 სექტემბერს 17:00 საათზე. სემინარებზე

რეგისტრაცია დაიწყება 22 სექტემბრის 17:00 საათიდან. უცხო ენების ცენტრთან არსებული შეთანხმებით, დამთხვევების თავიდან ასაცილებლად, უცხო ენებზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება სემინარების არჩევის პარალელურად.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ სტუდენტებისათვის აკადემიური რეგისტრაციების პროცესში დახმარების გაწევის მიზნით 12 სექტემბერს 16:30 საათიდან 19:00 საათამდე, 13 სექტემბერს 15:30 საათიდან 16:00 საათამდე და 17:30 საათიდან 18:30 საათამდე; 14 სექტემბერს 17:30 საათიდან 18:30 საათამდე იურიდიულ ფაკულტეტზე (II აკადემიური კორპუსის რესურსცენტრი) იმუშავებს სტუდენტებისაგან შემდგარი მობილური ჯგუფი, რომელიც კონსულტაციებს გაგიწევთ ამ პროცესის წარმართვაში და საჭიროების შემთხვევაში დაგეხმარებათ საგნის არჩევაში.

სხვა ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ!

სხვა ფაკულტეტის სტუდენტები იურიდიული ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული საგნების არჩევას შეძლებენ 15 სექტემბერს 17:00 საათიდან.

ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამიდან ჩარიცხულ სტუდენტთა საყურადღებოდ!

ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამიდან ჩარიცხულ სტუდენტებს ინფორმაციის მისაღებად, მათი ჩარიცხვის ბრძანებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ მიმართოთ იურიდიული ფაკულტეტის №127 ოთახს, უფროსი სპეციალისტი მაია მეტრეველი 595903343.

აკადემიური რეგისტრაციის პროცესში თქვენ აგრეთვე დაგეხმარებიან იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები - აჩი ჯავახიშვილი 579224272 და ანანო უგლავა 593194194.

მაგისტრატურის სტუდენტთა საყურადღებოდ!

მაგისტრატურის ცხრილი იურიდიული ფაკულტეტის ვებ. გვერდზე განთავსდება 22 სექტემბერს 17:00 საათზე. აკადემიური რეგისტრაცია დაიწყება 26 სექტემბერს 17:00 საათზე, ხოლო პირველსემესტრელებისთვის - 28 სექტემბერს 17:00 საათზე.

კლინიკების შესახებ ინფორმაციას მოგაწვდით მოგვიანებით.

ინფორმაცის გაცვლის მიზნით შექმნილია ჯგუფი, სადაც შეგეძლებათ თქვენთვის საინტერესო საკითხების დაზუსტება.

https://www.facebook.com/groups/249801485541796/?fref=nf

გისურვებთ სასურველი ინდივიდუალური ცხრილის შედგენას!